

სერვიტუტის ხელშეკრულება

ქ.

05/06/2019წ.

მარნეული

ერთი მხრივ სს იმედა (ს/კ 234161956) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის _____, მიერ (შემდგომში წოდებული როგორც „მესაკუთრე“) და მეორე მხრივ შპს ჰეფესტო (ს.კ 454406269) წარმოდგენილი დირექტორის _____, მიერ (შემდგომში „მოსარგებლე“)

თითოეული ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთად როგორც „მხარეები“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ვდებთ წინამდებარე სერვიტუტის ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

- 1.1 მესაკუთრე იღებს ვალდებულებას საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (მისამართი: მარნეული, ს. ყიზილაჯლო, საკადასტრო კოდი: 83.01.27.041) (შემდგომში „მიწის ნაკვეთი“) დატვირთოს სერვიტუტის უფლებით მოსარგებლის სასარგებლოდ სერვიტუტი დგინდება მოსარგებლის საკუთრებაში არსებული შემდეგი მიწის ნაკვეთის სასარგებლოდ, მის: მარნეული, ს. ყიზილაჯლო, საკადასტრო კოდი: 83.01.27.053.
- 1.2 წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, სერვიტუტით დატვირთვის მიზანსა და მოსარგებლეს მიეცეს უფლება გამოიყენოს მიწის ნაკვეთზე არსებული გზის სავალი ნაწილი როგორც საფეხმავლო, ისე ავტოსატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისთვის შეუფერხებლად და შეუზღუდავად.
- 1.3 მხარეები თანხმდებიან, რომ მოსარგებლის სასარგებლოდ მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვისას მესაკუთრეს არ წარმოეშობა რაიმე სახის კომპენსაციის მოთხოვნის უფლება და სერვიტუტით დატვირთვა ხორციელდება უსასყიდლოდ.
- 1.4 მხარეები თანხმდებიან, რომ მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვა ხორციელდება აღნიშნული უფლების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან განუსაზღვრელი ვადით.
- 1.5 სერვიტუტის უფლება წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში რეგისტრირებული უნდა იქნეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში „რეესტრი“) სანივთო უფლებად მოსარგებლის სასარგებლოდ და მისი არსებობის განმავლობაში დაავალდებულებს მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, მემკვიდრეებს/უფლებამონაცვლე პირებს, მომავალ მესაკუთრეს და ნებისმიერ

_____ (მესაკუთრე)



დაინტერესებულ პირს რომელიც პრეტენზიას განაცხადებს მიწის ნაკვეთის მიმართ, ყოველგვარი ეჭვის თავიდან აცილების მიზნით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების შემთხვევაში, ჩაითვლება რომ ახალი მესაკუთრე გახდა წინამდებარე ხელშეკრულების და სერვიტუტის ურთიერთობის მხარე.

მუხლი 2. მხარე განცხადებები და გარანტიები

- 2.1 მესაკუთრე აცხადებს და საჯარო რეესტრიდან ამონაწერით ადასტურებს, რომ მიწის ნაკვეთი რეგისტრირებულია მის საკუთრებად და არ გააჩნია რაიმე სახის უფლებრივი ნაკლი (არც ერთ მესამე პირს არ აქვს უფლება წაუყენოს რაიმე სახის პრეტენზია მოსარგებლეს სერვიტუტის უფლებასთან დაკავშირებით).
- 2.2 მესაკუთრე ამავედროულად ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დოკუმენტები წარმოდგენილია სრულად და ზუსტად.
- 2.3 მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულებას ხელს აწერენ მათი უფლებამოსილი წარმომადგენლები, მხარეები გაეცნენ და ეთანხმებიან ხელშეკრულების ნებისმიერ პირობას და ჩანაწერს.

მუხლი 3. მხარეთა უფლება და მოვალეობები

3.1 მესაკუთრე ვალდებულია:

- 3.1.1 შეასრულოს ნებისმიერი მითითება და ხელი შეუწყოს მიწის ნაკვეთზე მოსარგებლის სერვიტუტის უფლების რეგისტრაციას, აღნიშნულისთვის რეესტრში წარადგინოს ყველგან საჭირო დოკუმენტი და გაიღოს რეგისტრაციისთვის აუცილებელი ხარჯები.
- 3.1.2 მისცეს მოსარგებლეს სერვიტუტის უფლებით სარგებლობის საშუალება, კერძოდ, არ შეაფერხოს სერვიტუტით დატვირთულ მიწის ნაკვეთზე მოსარგებლის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებების და ფეხით მოსიარულე პირების გადაადგილება.
- 3.1.3 დაუყონებლივ შეატყობინოს მოსარგებლეს მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების შემაფერხებელი მისგან გამოუკიდებელი გარემოების დადგომის შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

3.2 მოსარგებლე ვალდებულია:

- 3.2.1 არ დაუშვას მიწის ნაკვეთის ისეთი სარგებლობა, რომელიც დააზიანებს ან შექმნის მესაკუთრის საკუთრებაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ქონების დაზიანების საშიშროებას.
- 3.2.2 მიიღოს აქტიური მონაწილეობა სერვიტუტის უფლების რეგისტრაციის პროცესში.

(მესაკუთრე)



(მოსარგებლე)

წევრი
[Signature]

მუხლი 4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის (მიითითებულია ხელშეკრულების პირველი გვერდის ზედა მარჯვენა კუთხეში) და რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან და ძალაშია განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 5. დავების გადაწყვეტა

5.1 ნებისმიერი დავა, რაც წარმოიშვება ამ ხელშეკრულებიდან ან ამ ხელშეკრულებასთან კავშირში, მათ შორის ნებისმიერი კითხვა მისი არსებობის, კანონიერების, განმარტების, აღსრულების, დარღვევის ან შეწყვეტის შესახებ უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით;

5.2. თუ მოლაპარაკებას აზრი არ აქვს ან თუ მოლაპარაკებამ შედეგი არ გამოიღო, მხარეთა შორის წარმოშობილ დავას გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

6.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს და ერთი ეგზემპლარი წარედგინება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

6.2. ნებისმიერი ცვლილების შეტანა ხელშეკრულებაში ხდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება ან სხვა კომუნიკაცია უნდა წარიმართოს წერილობით, ასევე ელ.ფოსტისა და ტელეფონის მეშვეობით.

6.4. მხარეები ვალდებული არიან მისამართებისა და რეკვიზიტების შეცვლის თაობაზე ერთმანეთს აცნობონ ცვლილებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

6.5. ხელშეკრულება, მისი ნებისმიერი დანართი, ცვლილება ან დამატება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას და სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას.

6.6 მხარეები ადასტურებენ, რომ ისინი წინასწარ გაეცნენ ხელშეკრულებას და მათ სრულად ესმით ამ ხელშეკრულების შინაარსი.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მესაკუთრე სს იმედა (ს/ნ 234161956) გენერალური დირექტორი () ტელ.: ----- ელ-ფოსტა: -----	მოსარგებლე: შპს „ჰეფესტო“ (ს/კ 454406269) მის: ----- ტელ.: ----- ელ-ფოსტა: -----
--	--


(მესაკუთრე)



(მოსარგებლე)

დირექტორი	დირექტორი
/	

საქართველოს იუსტიციის საინინსტრო
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
შტაბში №598
თარიღი 19 ივნისი 2019 წ.
გვ. რაოდენობა 4 სადგომიდან 1-ის რაოდენობა



საჯარო
რეგისტრ
2019 წ.

(მესაკუთრე)



(მოსარგებლე)

შეჯამება

